


1947

№ 15. 1947 წ.  
გამოცემის წელი XXV.  
ფასი 2 მან.

# ნიანგი

თბილისი.  
გამომცემლობა  
„კომუნისტი“.



18/100  
№ 138

კომუნისტი  
1947

ნახ.წ.ი. გეგუაშვილიძე

## კომუნისტი

- ხალხი ჩაველი-ქონვა არ ავტდა. ოთხ წელიწადს შტრის ტანკებს გლეშავდი, შერდებ კი პურს გლეშავს!

ნახ. ღონისა

ამერიკის რეაქციული პრესა ცდილობს ინდონეზიაში ჰოლანდიის ჯარების მიერ დაწყებული დაპყრობითი ომის გაჩაღება საზოგადოებრივ აზრს მოაჩვენოს, როგორც „მშვიდობიანობის აღდგენისაკენ მიმართული ღონისძიება“



— ამ ვარდისფერი ჭოგრით გახედეთ ბრძოლის ველს და ყველაფერი რიგზე მოგეჩვენებათ. — გმადლობთ. მე დავალებული მაქვს—ინდონეზიაში ყველაფერი ვარდისფერად დავინახო.

„ოქროკაცია“

კაცს შეხედავ—ფიგურაა,  
რა აქვს დასაწუნარი?  
სმა იცის და ლხინი იცის,  
შესწევს ჭამის უნარი!  
სუფრაზეა—თამადაა,  
თეფშზე კიქებს დაიწყობს,—  
სადღეგრძელოს იტყვის ისეთს—  
ცამ ქუხილი დაიწყოს!  
სიტყვა მოსდევს, კილო მოსდევს,  
უფროსს ეთავმდაბლება!  
იგავ-არაკს მოგიყვებათ—  
კაცი მოითაფლება;  
მორცხვობს კიდევ, თავის თავზე  
ლაპარაკი არ უყვარს,  
მაგრამ ისე არჩევს ფრაზებს—  
ნაინატრს და სანუკვარს,  
რომ თუნდ წუთში დაამთავროს  
საუბარი პაწია,—  
მაინც თანამეყანწური  
იტყვის:  
—„ოქროკაცია!..“

სად არ ნახავთ მოფუსფუსეს,  
სიტყვაგარაყიანსა;  
რამდენ დაწესებულების  
სავარძელზე იანცა;  
ამ კვარტალში—ცხინწარმის  
ბედის საქვს განაგებს...  
ღირექტორობს და კაბინეტს  
ახლებურად ალაგებს:  
— „ეს გადადგით“,—გაიძახის,—  
ის კუთხეში მიჰკიდეთ,  
ის გადმოდგით, აგერ ის კი—  
მეძველმანეს მიჰკიდეთ!  
ეგ რა ინვენტარი არის!  
რა ავეჯი გქონიათ?


კულტურულად მუშაობა  
ასე გაგიგონიათ?  
ის ღივანი—ღივანსა ჰგავს,  
ან მაგიდა—მაგიდას?—  
წითელი ხის უნდა იყოს—  
დაფარული ლაქითა!  
აქ—ფარდები კრებ-დე-შინის,  
იქ—ხავერდის საფარი,—  
გაფორმება უნდა იყოს—  
უცხო—როგორც ზღაპარი,  
რომ შემომსვლელს ეშხის შუქი  
გულს საუდღეს პაწია,  
და ღირექტორს რომა ნახავს,  
სთქვას:  
—„რა ოქროკაცია!“

კაბინეტის გაფორმების  
უინი ღღე-ღამ გუზგუზებს,  
ცხინწარმის მთელი შტატი  
ამ საქმეზე ფუსფუსებს!  
— „ეს გადადგი, ის გადმოდგი!“—  
ისმის ირგვლივ ბრძანება,  
კაბინეტი დაემსგავსა  
მართლაც ზღაპარს, ზმანებას,  
მაგრამ დახეთ ფათერაკსა—  
ღროს ხომ ხათრი არ უყვარს:  
ღრო მიჰქრის და თან მიაფრენს  
კიდევ კვარტალს—სანუკვარს,—  
ცხინწარმში ავრალია,  
ჩამორჩენებს უტევენ,  
მაგრამ „ლაფში ჩაფლულ კამეჩს“  
კულსაც ვეღარ უწევენ!  
გარღვევაა, გეგმის ჩაშლას  
ვის დასწამებს აწია?—  
ამას არკვევს ღირექტორი...  
ჰმ! „რა ოქროკაცია!“

რევიზიამ წარადგინა  
სადღაც დასკვნა პაწია...  
ვხედავთ—„ტკბილტკბულს“ მოველინა  
ახლა „ოქროკაცია“,  
მოველინა... გამგედ გახდა  
იგი—ოქროხელება  
და გაჩაღდა „გაფორმების“  
იქაც ციებცხელება:  
— ეს გადადგით,—გაიძახის,—  
— ის გადმოდგით აქითა,—  
წითელი ხის სკამი დადგით—  
დაფარული ლაქითა!  
რა ავეჯი დამახვედრეთ,  
ეს რა გემო გქონიათ,  
კულტურული მუშაობა  
არსად გაგიგონიათ?..  
... „ტკბილტკბულშიაც“ არ ისურვა  
ღრომ დაცდა და ლოდინი  
და „ოქროკაცს“ კვლავ გაერღვა  
გეგმა „ცოტაოდინი“,  
„ტკბილტკბულშიაც“ ავრალია,  
ჩამორჩენებს უტევენ,  
მაგრამ ლაფში ჩაფლულ კამეჩს  
კულს სულ ვეღარ უწევენ!

სახკონტროლის კომისიამ  
ინახულა იქაცა...  
და დაასკვნა: „ოქროკაცმა“  
ვერც „ტკბილტკბულში“ იქაცა!  
ფუსფუსი და ფაცი-ფუცი  
ხასიათად ჰქონია,  
მაგრამ კაბინეტობანა—  
თუ მას საქმე ჰგონია,  
კულტურული მუშაობა  
სჩანს, არ გაუგონია!

ზარსდანი



— უფროსი? უფროსს ბევრი რამ შეუძლია, უფროსზე ათასი რამ არის დამოკიდებული! — მელაპარაკებოდა სოფლის შარავნაზე ახალგაჯობილი კაცი, ტარასი გძელიძე, რომლის სიგრძესა და სივანეს შორის ერთობეწვა განსხვავება იყო.

— მაინც, რა შეუძლია?

— ყველაფერი, ბატონო. უფროსთან თუ კარგად ხარ, მას შეუძლია აგარაკის მაგიერობაც კი გავიწიოს!

— ვერ მივხვდი, რას მეუბნებით!

— რა მიხვედრა უნდა, აი, ამ ხალხს ხედავთ? — და მან მიმითითა სოფლის გზასთან მჯდომარე რამოდენიმე კაცზე, რომლებიც ხალტურის მანქანას ელოდნენ, რკინიგზის უახლოეს სადგურზე მიმავალნი. — ესენი, ჩემო ბატონო, ყველანი მივლინებაში იმყოფებიან. მერე და ვისი წყალობით? ზაფხულის სიცხე თბილისში არ აჩერებს. მივლენ უფროსთან და ეტყვიან, ფლანო ფსტანის-ძევე, მომეცი მივლინება! და უფროსი, თუ კარგად არის შენთან, წადი და ისეირნე სოფელში, რამდენიც გნებავს!

— აქ ვისიმე სტუმარი ხართ?

— სოფლის სტუმარი გახლავართ. არტელიდან მომავლინეს, ბატის ბუმბულს ვამზადებ ბალიშებისათვის.

— იზოვება?

— კაცი ვერ ვნახე. სწორედ იმას გადავეყარე, რასაც ვერიდებოდი. არაფერ თავის ადგილზე არ არის. ვერავის ვერ ნახავ სოფელში! თავმჯდომარიდან დაწყებული ყველა სადღაცაა წასული.

— ეგ როგორ მოხდება, წამო, დავათვალიეროთ, ვინმეს შევხვდებით.

ერთ ეზოს მივადექით. დედაბერი იჯდა, წინდას ქსოვდა. ტარასი გამოელაპარაკა.

— აქაური ხართ, დედი?

— იცოცხლეთ, შვილო, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. — მიუგო მასპინძელმა.

— შეიძლება ცოტა რამ გკითხოთ? — კვლავ შეესიტყვა ტარასი.

— სამკალში წაფიდანენ, შვილო, ამ შუა ზაფხულში საქმეს ვინ უღალატებს.

მივხვდით, რომ მოხუცი სმენაზე ქესატად იყო და ტარასიმ მიახლოების შემდეგ ხმამალლა ჰკითხა:

— დედი, ამ სოფელში ბატები ბევრი ჰყავთ?

— ბატები?.. უი დამიდგეს თვალები! სად ნახეთ? როგორ გამეპარნენ, რომ ვერ გავიგე. არიქა, მიშველეთ! — და დედაბერი ბატების საძებნელად წაბარბაცდა.

— წავიდეთ, სამუშაოზე მაინც ვნახოთ ის ხალხი... რა მეჯავრება, როცა კაცს თავის ადგილზე ვერ ნახავ! — მომპართა ტარასიმ.

სოფლის ბოლოში გავედით. სიმინდებში მივსერილობდით.

— აფსუს, რა სიმინდია, ამის მორწყვა როგორ გაუჭირდათ! შეხედე როგორ არის მიწა დახეთქილი! — საყვედურს აფრქვევდა ტარასი. მაგრამ სასაყვედურო სხვა უარესი გაუჩნდა; გამხმარ მიწაში მსუბუქად ჩაეშვა და მისი ნაფეხურების ქვემოდან წყალმა ამოხეთქა.

— მიშველეთ! — იყვირა ტარასიმ.

— კაცო, რომელი ხართ, აქეთ არ წამოხვიდეთ, სიმინდსა ვრწყავ, წყალმა გათქორა, ჩაიფლობოთ სადმე! — მოისმა შორიახლოს ქალის ხმა.

... ოცი წუთის შემდეგ კვლავ წყაროსთან ვისხვდით. და როცა ტარასიმ გარეცხილი, სველი წინდები და ფეხსაცმელი ჩაიცვა, ნახევრად ტრაგიკულად თქვა:

— წამო, საქმელი მაინც ვიყიდოთ ვისგანმე!

ტარასი ერთ-ერთ ეზოში შევიდა და დაიყვირა:

— ოჯახიშვილებო!

პასუხად საიდანღაც მოზრდილი ხბოსოდენა ნაგაზი გამოტყვრა და ტარასისაკენ ღრენით გამოენათო. ტარასის შიშისაგან მუხლები მოეკვეთა და ადგილზევე ჩაიჩოქა. ძალღიჯ შორიახლოს ჩამოჯდა და ქანდაკებასავით გაქვავდა. ათი წუთი მაინც დასჭირდა ტარასის გონს მოსვლას და წამოიწია თუ არა, ძალღმა კვლავ ღრენა მორთო.

— ადგილიდან არ დაიძრა, თორემ ნაკუწ-ნაკუწად გაქცევს. აკრე თუ იქნები, ხმას არ ამოიღებ! — დაფუძახე მე.

სალამომდე გახლდათ ძალღის ტყვეობაში საწყალი ტარასი. სალამოს კი სოფლად დაბრუნებულმა საბჭოს თავმჯდომარემ, რომელსაც უკან ექვსი მივლინებული კაცი მოყვებოდა, ტარასი ტყვეობიდან გამოიხსნა და ცივი წყალიც გადაასხა:

— ორ კვირას ვერ დაბრუნდებიან კოლმეურნეები, სამკალი აქედან ოცდახუთ კილომეტრზეა. მაგისტანა საქმეზე შემოდგომაზე უნდა ჩამოხვიდე! გახურებული მკაა, ამ შუა ზაფხულში მაგისტვის ვის სცალი!

ტარასი ქალაქის გზას გაუღდა და თან ბურტყუნებდა:

— ცუდია, როცა კაცი თავის ადგილზე არ არის!..

გ. ივანიშვილი

დამსახუჩებული მარტოა

ნახ. ე. მახაფილისა



— გამადლობთ, რომ სკოლის ფრიალზე დამთავრებანსა და ოქროს შედღის შიღებაში ჩვენი ოჯახის და ნათესავის არც ერთი წევრი არ დაკვალვია!

# სანღვათ

# პეიზაჟი

წახ. ფილინა

საქართველო  
საბჭოთა კავშირი



— ბაყა, ზვენი ძროს-ტის მუკითა? რი სუკანთ ილაბს!

— აბაუაბს ფიშობარაჟი, თიორაჟ კნა მამარა აბარაბე-ჟი ამოღანა კანო რიშინო რაბა?

— თუაილაჟ პარედიტ ფილა-ზა: ცუდიო რაჟა მურაჟ არ ვიციო!

— სორაჟ რაჟ მპინიო, ის არ მპიუოჟა რა—სამ რასანაჟი—ღაღი სანოლ დიარაბორი მპაჟარაბ?

— რაჟ ბილაჟ ჟილა, მუნა არილაიო?

— არაჟ, ვიჟი მუშობის—პის ლილო, იქანაჟი, მონიო!

— მენოღობაჟი მარაბნე თუა-რას მუნაჟი მონაჟი!

— ვაბათ იგიმიაჟი არის, რიჟ ჟიბ იგიჟი წყარო!

— რას მუნაჟიჟი ვარეო სარ, წყარო-ჟი აფარაბიზა. მალაჟ აჟიო ლე-ჩარსი უნდა რაჟიჟუნ.

— მუნა რა მუნა-რაჟ, სარაჟიო ანობიოლ ტარ-ხობაჟიო პარაღიო!

— რათოჟ თბი-ლილო არ მპინ ამოჟი მუნაჟი დუნა?

— იგიმიაჟიო იქ მუნაჟიო წყარს მუნაჟი!

— რიშინო მუნაჟი-რას მუნაჟიო, მუნა-საჟიო მუნაჟი არა-ჟის მონაჟიო!

სუპონი წყარო  
 დირაქტორს ურეაჟ  
 მუნაბეჟიო—სამოჟის

დაუნიტობაჟი  
 ნუ მუნაჟი!

სანღვათი

ლონი

# აგარაკისკენ!!!

თბილისი. ივლისი.

მაისა და ივნისს, როგორც იქნა გადავრჩი, მაგრამ ივლისმა განსაკუთრებული დახმარება გაუწია ჩემს ცოლს და ორივე მხრიდან ისეთი სიცხე დამადგა, რომ ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე.

ცხელა, ბატონო!

შინ ცხელა, გარედ ცხელა!

განსაკუთრებით ჩემს ჯიბეში ცხელა, მაგრამ იმაზე ფიქრმა, რომ მზისაგან ვაცხელებულსა და სულშეხუთულს, შეიძლება ცოლისაგანაც ხვატი დამემატოს... გადავწყვიტე... უცებ კიარა, მეუღლესთან და ჩემს დღეში ჩავარდნილ მეუღლეებთან ოთხი დღე დამის თათბირის შემდეგ...

— აგარაკისკენ! აგარაკისკენ! აგარაკისკენ!!!

— ახლა, აგარაკზე მარტო ჰაერის საყლაპავად ხომ არ წახვალ, სასმელ-საქმელი აქაც არ მაკლია, მაგრამ ხალხში უნდა გამოვჩნდე თუ არა! — მითხრა ჩემმა მეუღლემ და სააგარაკო ტანსაცმელის სია წარმომირდგინა.

— გაიარე ბარემ „ოსობტორგში“, მიყიდე ეს წვრილმანები და ბარგიც ჩავვალავოთ, — დასძინა მან ტკბილად.

მე რომ ბიუროკრატი ვყოფილიყავ, ვეტყოდი: საზაფხულო ტანსაცმელისათვის ზამთარში შემოიარეთ-მეთქი, მაგრამ მე ამის თქმა რად მინდოდა, როცა ამ საქმეში ვიცოდი ჩვენი სავაჭროებიც დაეხმარებოდა!

ტანსაცმელითა და ფართლეულით სავსე მაღაზიები შემოვიარე. „სულიკოსავით“ ვიძებდი ცოლისათვის საჭირო (ფუი ეშმაკს, ცოლისათვის-მეთქი), ცოლისათვის საბედნიერო და ჩემთვის საჭირო და სავაგლახო საგნებს.

— თუ ქალი ხარ, — მივმართე კონტად გამოწყობილ გამყიდველ ქალს. — თქვენ რომ გაცვიათ, ასეთი კაბის ნაჭერი ხომ არ გექნებათ?

— არა, შენი ჭირიშე. (ყველა ქალები ამ სიტყვებით მომმართავენ. თუმცა ჩვენს შორის დარჩეს და ჩემი ჭირი არც ერთ მათგანს არ წაუღია).

— ასეთი რამ ზამთარში გექონდა, არა, ახლაც გვეშოვება; მაგრამ მოთხოვნილება ისე დიდია, რომ...

რალა ბევრი ვავაგრძელო, — წავედი საბურთალოზე.

მართლაც რომ საბურთალოა... გადაწყვიდელებს ხან ერთ მხარეზე გაჰქონდათ გოლში ჩემი თავი და ხან მეორეზე. როგორც იქნა ვოყიდე ცოლს საკაბე. შეიკერა. ჩაიცვა. შეეკარით ბარგი (თავი არ მინდა მოგაბეზროთ), ქალაქის სადგურში მგზავრების უკეთ მომსახურებისათვის მკაცრი წესრიგია, წესი და რიგი. გაძლიერებული დაცვით, რასაკვირველია, ორი დღე ვირბინე ბილეთებისათვის და მესამე დღეს, როგორც იქნა; „მალარიჩის“ შემდეგ, გადაწყვიდელისაგან „სააგარაკო ფასებში“ ორი ბილეთი შევიძინე.

— ძვირია-მეთქი, — გამყიდველს ვუთხარი.

— მე, ბიძია, აგარაკზე არ მივდივარ და ყინულისა და ნაყინის ფასი მინდა ვიშოვო. — მომიგო მან ხითხითით.

ვეწვიეთ აგარაკს, მზე, ჰაერი, წყალი, მხიარულება, ლოყებაღაქ-ლაქებული ბავშვები. სიცოცხლის ზეიშა!

შევუდექით ბინის ძებნას. ვიშოვე იაფად, რასაკვირველია. თბილისში რომ ორ ოთახში ოთხ წელიწადს ქირას ვაძლევ, ის აგარაკზე ერთ ოთახში ერთი თვით წინ გადამახდევინეს. ეგ არაფერი. ბოლოს და ბოლოს აგარაკზე ერთ თვესა ვარ, თორმეტს ხომ არა. მაგრამ ვაი წლევიანდელ ერთ თვეს! სანატორიუმში ან დასასვენებელ სახლში რად არა ხარო და მომარაგებაზე არავის უზრუნია, სანოვავისათვის მატარებლით უნდა ვიარო... არა, უკმაყოფილო კი არა ვარ, ჩემმა ცოლმა მოიკეთა. ვადამყიდველებიც ვასუქდნენ. მაგრამ მე? ვის რა დავუშავე?

საკურორტო მომარაგების სამმართველოს რა ვაწყენინე? მთავრობის მიერ კანონით მიღებული ერთთვიანი დასვენება სპეკულანტებმა რად უნდა შემეიქამონ?

არა, ჩემო კარგო, არა! ერთ რაქეში უნდა შევთანხმდეთ: ან მე, ან ვადამყიდველები. როგორც ყუჯლად პარდაპირი და მიუდგომელი ნიანგი გვირჩევს, თორემ აგარაკისკენ??!

არა ძმაო, არა!

ბიძიშვი

# დაეჭვებუდი

ნახ. დონისა




- ორი დღეა რაც ჩამოვედი და წონაში ორი კილო მოვიმატე...
- ხახვორს მოუტყუებინარ...
- რას ამბობ, თვითონ დირექტორმა ამწონა.
- შოთი მაშ დირექტორს!

## შეშოვება ადგილზე

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანასთან მისასვლელი გზები გაფუჭებულია.

კორესპონდენციიდან



შოვარნი: თუ ამ გზას გაუძლო ჩემმა მანქანამ, მაშინ ქარხანას რემონტი ხაიშედოდ გაუკეთება.

## დაკარგული მზათუნახავი

სოფ. ბაცალიგოში (ხევსურეთი) საამცრელი პუნქტი თვეობით დაკეტილია.

ჩვენს ხევსურეთშიც საჩანგლო ბევრი რამ მოიპოვების, მაგრამ აწერა ვინ შესძლოს, არავინა გვყავს პოეტი.

ჩვენთან ამცრელად მუშაობს, ქალი, რა ქალი — ნადია, მართლაც რომ პირიშე არის, კელაპტარივით ანთია. პუნქტში კი ვეროდეს ნახავთ ვერც ლამე, ვერცა ვანთიადს.

თქვენ დაინახავთ ყოველდღე ხალხს კარების წინ მოგროვილს, კარებს კი დადებული აქვს უზარმაზარი ბოქლომი.

ეხლაც მანდ არის, ნიანგო, უთხარ, სიტყვა თუ ვერ გასკრის, იქნებ აჯობოს — გაჰკზავნო ის მუღმივ შევებულეებაში.

მიწედი ველაუჯაუარი

ეს ამბავი ნამდვილად მოხდა.  
ჩვენი რაიონის თეატრს წარმოდგენა თი-  
თქმის უკვე მზად ჰქონდა, მაგრამ რეჟისორს  
უცებ „იღვანე“ დაეხდა.

— სანამ არღანი არ იქნება, წარმოდგენა  
არ წავა, — კატეგორიულად განაცხადა თე-  
ატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეპე-  
ტიცია შესწავილა.

— ჩვენს რაიონში არავისა აქვს ეს არ-  
ღანი და რა ექნათ, არღნის გულ-სათვის  
წარმოდგენა აღარ გავუშვათ?

— რა იცით, რომ არავისა აქვს გ გზა-  
ნეთ კაცი. მე აქ რეალისტურ ძეთოდზე  
ვზრუნავ, თქვენ კი ანგარიშს არ მიწევთ. მე  
ნიუიარს, როცა შემოქმედების დროს ადა-  
მინი იწვის. ასეთია ნამდვილი ხელოვნება,  
ნუთუ ამბავი კიდევ ლაპრაკია საჭირო?!

— ხვალვე მივაგვინ აღმინისტრატორს ჩვენი  
რაიონის სოფლებში. — სთქვა დირექტორმა.

— ძალიან კარგიც იქნება, ასე კეთდება  
ქეზმარტი სპექტაკლები, გადახედეთ თე-  
ატრის ისტორიას, — კმაყოფილებით წამოიძახა  
რეჟისორმა და დირექტორის პაპიროსისაკენ  
ხელი წაიღო...

მეორე დღეს თეატრის განცხადებების  
დაფაზე ასეთი ბრძანება იყო გაკრული:  
„თეატრის აღმინისტრატორი და მსახიობი  
ცხენისწყლისპირელი წარმოდგენის საჭიროე-  
ბისათვის მივლინებულ იქნეს ხუთი დღით  
ჩვენი რაიონის სოფლებში არღნის შესაძენად  
მეარღნითურთ. საფუძველი: თეატრის სამ-  
ხატვრო ხელმძღვანელის განცხადება“.

ოთხი სოფელი შეიარა აღმინისტრა-  
ტორ-მსახიობმა, მაგრამ არღნის გზა-კვალს  
ვერსად მიაგნო.

— რა დროს არღანია, კაცო, არღნობია  
გათავდა, ახლა უქმად ტარების დრო ვისა  
აქვს, — ეუბნებოდნენ მას სოფლებში.

— არა, ხალხო, საქეიფოდ კი არ მინდა,  
— უხსნიდა ცხენისწყლისპირელი.

— აბა, ტირილში არღანი სულ არ გა-  
გვიგონია...

— თეატრში გვკვირდება ბატონო, თეა-  
ტრში, წარმოდგენაშია საჭირო.

— მგონი გადაღმა სოფელში უნდა ჰქონ-  
დეთ თუ არ გაუყიდიათ, — მიასწავლა ბოლოს  
ერთმა ძველმა მოქეიფემ.

ამაოდ იარა ხუთი დღე, ხელცარიელი  
დაბრუნდა უკან.

— რეპეტიცია მაინც გაიარეთ, დროს ნუ  
დაეკარგავთ, — ემუდარებოდა რეჟისორს დი-  
რექტორი.


— რეპეტიცია რა საჭიროა, თუ არღანი  
არ იქნა, წარმოდგენაც არ იქნება, მორჩა და  
გათავდა.

ხელახლა დაიწერა ბრძანება. ხელახლა  
იქნა აღმინისტრატორი რაიონის ცენტრში  
მივლინებული „არღნის შესაძენად მეარ-  
ღნითურთ“. მაგრამ კვლავ ამაოდ ჩაიარა ძიე-  
ბამ. ორი კვირის განმავლობაში ამაოდ ელო-  
დებოდა „რეალიზმით აღგზნებული“ რეჟი-  
სორი არღანს. სამი კვირით დაგვიანდა წარ-  
მოდგენის გაშვება... და აი, დირექტორმა  
ერთ მშვენიერ დღეს ასეთი დეპეშა მიიღო:  
„არღანი აღმოჩენილია, მეარღნე თან არ მო-  
მსდევს, როგორ მოვიქცე.“ ჯონსონი.

მესამე დღეს აღმინისტრატორმა საპასუხო  
დეპეშა მიიღო: „რამენაირად თვითონ შეი-  
სწავლეთ და მალე ჩამოდი“.

ბევრი იწვალა ცხენისწყლისპირელმა სანამ  
არღანზე დაკვრას „ათვისებდა“. ზღაპრულ  
ფასად იქირავა არღანი — და ის იყო წამო-  
სასვლელად გაემზადა, რომ ასეთი შინაარსის  
დეპეშა მიიღო: „არღანი საჭიროა აღარაა,  
რეჟისორი მოხსნილია. ჩამოდი“.


დეპეშას ხელს აწერდა ახალი დირექტორი.  
კ. გელათელი



— მზის აბაზანებისაგან დამწვარი ტყავი ჩემმა მეგობარმა ისე ოსტატურად გა-  
მადრო, რომ არაფერი მიგრძენია.  
— რა პროფესიისაა შენი მეგობარი?  
— ოფიციატია.  
— ჰოო, ის ამ საქმის ოსტატი ყოფილა.

გარათი ნიანგს

ვადიას ექსპერიმენტები



ექსპერიმენტალური პედაგოგია, როგორც მეცნიერება — ძველ-  
თაგანვე ცნობილია, მაგრამ ბევრს იქნებ კიდევ დაეწიებია, ასე არ  
ითქმის ტალია (ნატალია) ნახუბიაზე, რომელსაც ბედმა მასწავლებ-  
ლობაც არგუნა და ექსპერიმენტების შნო და უნარიც მიამადა.

ტალია ასეთ ექსპერიმენტებს თავის მეზობელ გზოვებში მცხოვ-  
რებ ბავშვებზე აწარმოებს. (თვითონ ცხოვრობს თბილისში, მარის  
ქუჩაზე № 27-ბ). მაგალითად, თუ რომელიმე მეზობლის ბავშვმა  
მისი ეზოს მახლობლად თამაშობის დროს შეიმღერა, ხმამაღლა  
წამოიძახა რაიმე, ან, ვსთქვათ, თვით ნახუბიას ბავშვს აჯობა  
ბურთის თამაშში, თუ სხვა მსგავსი „დანაშაული“ ჩაიდინა — ტალია  
რისხვად დაატყდება მას თავზე: უშვერი სიტყვების მარაგს რომ

ამოსწურავს, — „ღმრდელობითი ზეგაღწისათვის“ მუშტებსა და წიხლებს მოიშველიებს, გვერდებს და-  
შლილავებს, ყურებს აგლეჯს, ცხვირიდან სისხლს ადენს, ტანსაცმელს შემოახვეს.

აქ ჩამოთვლილ საშუალებებს ტალია იყენებს იმის მიხედვით, თუ რომელ ბავშვს რომელი ექსპერი-  
მენტი მოუხდება. არის ისეთი შემთხვევაც, როცა „ტალიას ლუკმად“ გამხდარ ბავშვს თბის ტარით ნეკენ-  
ბის შეხურებაც სჭირდება, — მაშინ ხახუბია თავისი მუხლის დახმარებით ატარებს ამ ოპერაციასაც.

მაგრამ ხალხს რას გაუგებთ? ასე განსწავთ, გალახული, ცხვირდასისხლიანებული ბავშვების პატრო-  
ნებს უკვირთ, ზოგჯერ სწყინთ კიდევ, ტალია ნახუბიას მოქმედება.

— რა პედაგოგის საკადრისია ასეთი მოქმედება, — აცხადებენ ისინი. მოდით და ელაპარაკეთ ასეთ  
უმადურებს! მათ არ ესმით, რომ ტალია ნახუბია ხელებსა და ფეხებს იმიტომ იღლის უბნის ბავშვების გა-  
ლახვაზე, ხმის ჩახლენგამდე იმიტომ აფრქვევს გინების მარგალიტებს, დორბლსა და ნერწყვს იმიტომ ხარ-  
ჯავს, რომ დააკვირდეს, თუ როგორი აღმზრდელობითი გავლენა მოახდინა მისმა ამაგმა გვერდებშიბეგვილ  
და ცხვირმინაყიდ ბავშვებზე.

მაგალითად, ამასწინათ ჩოგბურთის მოედანზე ცამეტი წლის სანდრიკო მამასახლისოვი წიხლებქვეშ  
რომ ჩაიგდო, ცხვირიდან სისხლი რომ ადინა, ყელში დასახრჩობად რომ სწვდა და თანაც პერანგი შემოაფ-  
ლითა — ტალია ნახუბიასთვის ექსპერიმენტი არ იყო? ან სამამულო ომში დაღუპულ გასპარაშვილის ბავშვს  
რომ სახე და ტანი დაუღლიდა, ან ა-ძის ბავშვს, პატარა ალიკოს, თბის ტარით რომ უბავუნა, ან გრიშა  
დვალს სახლში რომ შეუვარდა — მისი ბიჭიკოს ლეოს „დასახელად“, ან სხვა მსგავსი გარჯა, განა სხვა რამე  
იყო თუ არა აღმზრდელობითი ექსპერიმენტი?

ალბათ თქვენც იტყვიან — მსგავსი მოქმედება მასწავლებლისათვის ჩირქის მომცხებია, არასაკადრი-  
სით, შეიძლება ისიც დასძინოთ, რომ ეს პირდაპირ ხულიგნური მოქცევაა...

მაშ, თუ ასეა, ამხ. ნიანგო, ერთი პირი უკითხვ ნატალია ნახუბიას, როგორ შეიძლება კაცმა შეათავ-  
სოს პედაგოგის სახელი და ხულიგნური ქცევა?

77-138  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო



— ჩვენი დირექტორი და მისი ცოლშვილი მანქანამ გაიტანა.  
 — ავარია მოუხდათ?  
 — ავარია კი არა, უოველდღე შოდის ქალაქიდან ცოლშვილთან და გზაში მანქანით  
 გაკეთებულმა ხალატურამ ისიც გაიტანა და მისი ცოლშვილიც!..

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1947 წ. 6/VIII. ლ. პ. ზერიაშ სან. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28, გამოც. № 78 შგკ. № 1096. ტირ. 7500 ჟმ 10135